ექსტრემალური ტურიზმის განვითარების სტრატეგია და პერსპექტივები აჭარაში

ციცა ცეცხლაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
მამუკა გოგელია
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
თამარ ფოლადაშვილი
ბაკალავრი

ტურიზმს დღეისათვის მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ეს არა მხოლოდ პირდაპირი გაგებით იძლევა მნიშვნელოვან შემოსავალს ქვეყნისათვის, არამედ, დამატებით კიდევ არა ერთ დადებით შედეგს განაპირობებს, მათ შორის ინფრასტრუქტურულ კეთილმოწყობას, ტურიზმის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ბიზნესის სხვადასხვა სფეროების განვითარებას და შესაბამისად მოსახლეობის დასაქმების ზრდას, ქვეყნისათვის დამახასიათებელი, მისი წარმოჩენისათვის სასარგებლო ადგილობრივი კულტურულ-ისტორიული ტრადიციების, სახალხო რეწვის შენარჩუნებასა და განვითარებას, არაფორმალური და ფორმალური კავშირების ჩამოყალიბებას სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან, რაც თავის მხრივ ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას აძლიერებს, ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებას საერთაშორისო არენაზე მეგობრული, კეთილგანწყობილი მხარდამჭერების რიცხვის პროგრესულ მატებას, და ა.შ.

ყველა ეს პოზიტივი პოტენციურად თან სდევს ტურიზმის განვითარებას, თუმცა მსოფლიო ბაზარზე ტურიზმის სფეროში ძალზე მაღალი კონკურენციაა და ამიტომ საკუთარი ნიშის მოსაპოვებლად აუცილებელია კარგად გააზრებული, დაგეგმილი და დანერგილი სტრატეგიის არსებობა. რაც მთავარია ამ სტრატეგიაში მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნებიც უნდა იყოს ორიენტირებული საბოლოო, მდგრად შედეგზე და არა მოკლევადიან წარმატებაზე, რამაც შეიძლება დივიდენდების ნაცვლად საბოლოო ჯამში მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოიტანოს.

ტურიზმის განვითარებას ნებისმიერ ქვეყანაში სჭირდება ერთიანი ძალისხმევა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისა და მულტისექტორული თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავებული განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი დანერგვა. თავისთავად ამგვარი სტრატეგიის შემუშავებისათვის აუცილებელია ყოველმხრივი ანალიზი და ნათელი ხედვა არსებული მდგომარეობის და პრობლემებისა, ისევე როგორც კრიატიული მიდგომა ამ ღონისძიებების შემუშავებისას, რამაც მომავალში ხელი უნდა შეუწყოს დარგის განვითარებას.

საქართველოს ტურისტული პოტენციალი რომ გააჩნია ეს უცხო და ახალი არავისთვის არაა, ამაზე ნათლად მეტყველებს გასული წლის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ გამოაქვეყნა. 2011 წელს საქართველოში იმყოფებოდა 2,032,586 უცხოელი მოგზაური, რაც 36%-ით მეტია 2010 წლის მაჩვენებელზე. შესამჩნევი ცვლილებაა ვიზიტის მიზანში, დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით ჩამოსული ტურისტების რაოდენობამ საერთო ჩამოსვლებში 32%-ს გადააჭარბა.

საერთაშორისო ჩამოსვლების თვალსაზრისით 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსული უცხოელი ვიზიტორების რაოდენობიტ პირველ ადგილზეა თურქეთი (48,4 %), მეორეზე სომხეთი (21,7 %), შემდეგ აზერბაიჯანი – 11,7%, ირანი – 5,6 %, უკრაინა – 2,2 %.

აღნიშნული მაჩვენებლებიდან გამომდინარე, აჭარის რეგიონის ვიზიტორთა რიცხვი 2011 წელს 76%-ით გაიზადა და 1319513 კაცი შეადგინა, ამათგან შიდა ტურისტების რიცხვი 69%-ით (838 661), ხოლო უცხოელი ტურისტების რიცხვმა 33%-ით (480 852) მოიმატა.

მიუხედავად ყოველწლიური ზრდისა, ფაქტია რომ ეს უძველესი ქვეყანა ჯერ კიდევ აღმოუჩენელია ტურისტებისთვის, და აჭარის რეგიონი ისევე როგორც მთელი საქართველო სწორი დაგეგმვისა და განხორციელების პირობებში ევროპის ერთ-ერთ უმსხვილეს ტურ-

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ისტულ კერად შეიძლება იქცეს. თუმცა მეორე მხრივ ეს დარგი განსაკუთებულ მოთხოვნებს უყენებს მასში მონაწილე პირებს. ტურიზმის სფეროში მონაწილე სუბიექტი კარგად უნდა ერკვეოდეს არა მარტო ტურიზმის საქმიანობის სპეციფიკაში, არამედ ზოგად ეკონომიკაში, მენეჯმენტში, კომერციასა და მარკეტინგში. ვინაიდან ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ყველა მომიჯნავე დარგის განვითარებას. როგორიცაა: ტრანსპორტი, კავშირგამბულობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და სხვა

ტურიზმის დარგის კომპლექსური განვითარება საშუალებას აძლევს განვითარდნენ ისეთი ქვეყნები, რომელთაც არ გააჩნიათ ნედლეულის დიდი მარაგები, თუმცა საკუთარ კონკურენტულ უპირატესობას აფუძნებენ კულტურაზე, ისტორიულ ძეგლებზე, ბუნებრივ პირობებსა და რაც მთავარია კრეატიულობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს შემუშავებული აქვს დარგის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეყრდნობა ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აპრობირებულ პრინციპებს და აშკარა უპირატესობას ანიჭებს ბაზრის მოთხოვნის სტიმულირებას. აქცენტები გამახვილებულია შემდეგი მიმართულებებით:

1. თანამშრომლობა აჭარის ტურიზმის დარგში მოქმედ კერძო და საჯარო

ორგანიზაციებთან;

1.1 პერიოდული შეხვედრების ორგანიზება კერძო სექტორთან სხვადასხვა საინტერესო თემაზე

2. ახალი და გაუმჯობესებული პროდუქტების ხარჯზე სეზონის გაფართოება - მეტი ტურისტის მოზიდვა არასეზონურ პერიოდებში;

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ტურიზმის მნიშვნელობის პროპაგანდა.

მიზნობრივი საინფორმაციო ცენტრების ან წარმომადგენლობების გახსნა და მათი საქმიანობის ეფექტურობის შემდგომი განვითარება

3. აქტიური როლის შესრულება სტუმართა შთაბეჭდილებების გაუმჯობესებაში;

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ რომ აჭარაში არსებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები და მთავრობის მხრიდან მხარდამჭერი ღონისძიებები გახდება საფუძველი ტურიზმისა და მომსახურების სფეროთა ინდუსტრიის მდგარადი ეკონომიკური ზრდის.

ჩვენი რეგიონის კონკურენტული უპირატესობა შეიძლება დავაფუძნოთ ექსტრემალური ტურიზმის განვითარებას. ექსტრემალური ტურიზმის ბაზარი ძალიან სწრაფად მზარდი და პერსპექტიულია მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც. აჭარის რეგიონი კი ჯერ კიდევ აუთვისებელია როგორც ქართველი ასევე უცხოელი ტურისტების მიერ.

ექსტრემალური ტური - ცალკეულ შემთხვევებში გარკვეულ რისკთან და სერიოზულ ფიზიკურ დატვირთვასთან არის დაკავშირებული, ამავე დროს მასში მონაწილე პირებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა და გამბედაობა. ტურიზმის ეს სახეობა ახლოს დგას სპორტულ ტურიზმთან, თუმცა ამ შემთხვევაში მარშუტები უკეთესად არის მომზადებული, პირობები გაცილებით კომფორტულია და რისკ-ფაქტორებიც მინიმუმამდე არის დაყვანილი გამყოლების, შუალედური ბანაკებისა და ტურისტული აღჭურვილობის ხარჯზე. (მ. მეტრეველი 2008)

ამჟამად საქართველოში არის იმის პოტენციალი რომ ადრენალინის მოყვარულები დაკავდნენ შემდეგი სახის აქტივობებით: სამთო-სათხილამურო სპორტი, მეკლდეურობა და ყინულზე ცოცვა, სპალეოტურიზმი, ალპინიზმი, დაივინგი, რაფტინგი, პარაპლანინგი, მთის ველოსიპედით სეირნობა და მთის ავტომობილებით რბოლა.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის ამ მიმართულების განვითარება არ მოითხოვს განსაკუთრებული ბუნებრივი რესურსების ხარჯვას, ვინაიდან ექსტრემალებს სწორედ ასეთი ხელშეუხებელი ბუნება სჭირდებათ საკუთარი ძალების დემონსტრირებისათვის, მაგრამ მეორე მხრივ მათ ესაჭიროებათ ინფრასტრუქტურა და პროფესიონალურად მომზადებული მომსახურე პერსონალი.

ზემოთ აღნიშნული აქტივობებიდან აჭარას აქვს პერსპექტივები შემდეგი მიმართულებებით:

1. სამთო-სათხილამურო სპორტი. მდებარეობა – შუახევის რაიონი სოფელი გომარდული, ზღვის დონიდან 1300 მეტრი. ონლაინ ნიუსზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით 2011 წლის ზაფხულიდან იგეგმება პირველი „ექსტრემალური პარკის" აშენება. პროექტის მთლიანი ღირებულება 2 მლნ. აშშ დოლარი.

2. მეკლდეურობა – აჭარის მაღალმთიანი რაიონები. ხელვაჩაურის რაიონი სოფელი გონიო. ამ მიმართულებით ცვლილებები არ შეიმჩნევა აჭარაში, მიუხედავად იმისა რომ მეკლდეურობა ოლიმპიურ სახეობად აღიარეს და საქართველო საერთაშორისო ფედერაციის წევრი გახდა. (საინფორმაციო სააგენტო „მსოფ-

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ლიო სპორტი") ჩემი აზრით, ამ მიმართულებით უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან სწორი დაგეგმვა და განხორციელება. ასევე აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ხელოვნური კედლის დადგმა და მოსწავლეებისთვის აღჭურვილობის მიწოდება, ვინაიდან ტურისტებს ესაჭიროებათ გამოცდილი ინსტრუქტორები.

3. დაივინგი – კვარიათი-სარფის აკვადორია. ამჟამად ჩაქვში ფუნქციონირებს წყალქვეშა ცურვის სასწავლო ცენტრი, ხოლო კვარიათი-სარფის სანაპირო ზონაში შექმნილია თანამედროვე სასწავლო ცენტრი (ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი). საგულისხმოა ერთი ფაქტი. დაივინგს სისტემური ხასიათი არ აქვს და მხოლოდ სეზონურად მუშაობს. ჩემი შეხედულებით მაღალია ფასები. 7-დან 15 მეტრამდე წყალქვეშ ჩასვლა 20 წუთის განმავლობაში 70 ლარი ღირს, რაც შიდა ტურისტებისათვის ხელმიუწვდომელია. სასურველი იქნება ამ კონკრეტული მიმართულების უფრო მეტი პოპულარიზაცია და ფასების კორექტირება.

4. პარაპლანინგი – შავი ზღვის სანაპირო. ჩვენი კვლევიდან გამომდინარე ექსტრემელური ტურიზმის ამ სახეობით დაინტრესებულები არიან კერძო პირები მხოლოდ ზაფხულის სეზონზე, მოგების მიღების მიზნით. სასურველია ჩამოყალიბდეს ჯგუფი/გაერთიანება სადაც გაწევრიანდებიან პროფესიონალი ინსტრუქტორები და ამ მომსახურებას წელიწადის ნებისმიერ დროს შესთავაზებენ ტურისტებს.

5. Bungie-Jumping - ხიდიდან ხტომა. ექსტრემალური სპორტის ახალი სახეობაა, იგი გულისხმობს მაღალი ხიდიდან ხტომას, მაგრამ ამ დროს ადამიანი დაბმულია თოკებით, და ინერციის ძალით მოძრაობს ჰაერში. ყოველდღიურად იზრდება Bungie-Jumping-ით დაინტერესებულ ადამიანთა რიცხვი. აჭარაში შესაძლებელია შეირჩეს ყველაზე მაღალი ხიდი (ან აშენდეს) სადაც ექსტრემის მოყვარულები შეძლებენ სიამოვნების მიღებას. საჭიროა მხოლოდ ადამიანური რესურსი, აღჭურვილობა და შესაბამისი კონსტრუქცია.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ექსტრემალური ტურიზმის სახეობები არასრული ჩამონათვალია იმ მრავალრიცხოვან ტურებს შორის, რომლის განვითარების პოტენციალიც აქვს აჭარის რეგიონს.

ცნობილია, რომ ტურისტები ხშირად ნეგატიურ გავლენას ახდენენ გარემოზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს ბუნების დასაცავად და შესანარჩუნებლად სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ღონისძიებების გატარებას, მაგრამ ექსტრემალური ტურიზმი არის ის გამონაკლისი შემთხვევა, რომლის დროსაც ბუნებრივ რესურსებზე ზემოქმედება მინიმალურ დონემდე არის დაყვანილი, შესაბამისად არ არსებობს რესურსების ამოწურვის საფრთხე, უფრო მეტიც ის განვითარების მუდმივ კერად შეიძლება მივიჩნიოთ.

ზოგადად ტურიზმი და აჭარის რეგიონი მნიშვნელოვანწილად განიცდის სეზონურობის ფაქტორების ზეგავლენას, რაც წლის განმავლობაში კლიმატურ ცვალებადობას უკავშირდება. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ სეზონზე აჭარაში ზღვაზე დამსვენებელთა ბუმია, ხოლო დანარჩენ პერიოდში ტურისტების მკვეთრი ნაკლებობა. ექსტრემალური ტურიზმი თითქმის მინიმუმამდე ამცირებს სხვაობას ამ ციფრებს შორის. გაზაფხულზე, მაშინ როდესაც თოვლის საფარი დნება და მდინარეები დიდდება ტურისტებს შეიძლება შევთავაზოთ - ჯომარდობა, ზაფხულში – დაივინგი, პარაპლანინგი, საცხენოსნო ტურები მაღალმთიან აჭარაში, შემოდგომაზე - ავტომობილებით რბოლა, ზამთარში – სამთო-სათხილამურო სპორტი, მეკლდეურობა, ყინულზე ცოცვა და ა.შ. ასევე არსებობს ისეთი სახეობები რომელიც წლის ნებისმიერ პერიოდში მოსახერხებელია. მაგ: Bungie-Jumping, ექსტრემალური ატრაქციონების სისტემა და ა.შ.

ექსტრემალური ტურიზმის მიზნობრივ მიმართულებას წარმოადგენს ტურისტთა ნაკადების ზრდა, რაც საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას ადგილზე მოახდინონ საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია, მათ გაუჩნდებათ სტაბილური გასაღების ბაზარი და ამავე დროს დაზოგავენ ტრანსპორტირების თანხებს (მაგ: ექსტრემალური სამთო ტურები, საველოსიპედო ტურები და ა.შ)

როგორც წესი ექსტრემალური ტურიზმით ძირითადად ახალგაზრდები (20-32 წლის) ინტერესდებიან. მათ ვისაც ენერგია აქვს და ექსტრემში ეძებს განტვირთვას. ამ სეგმენტის მოზიდვა ერთობ მნიშვნელოვანია ჩვენი ახალგაზრდებისთვისაც, ისინი შეძლებენ კომუნიკაციების დამყარებას სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან, დაგეგმავენ განმეორებით ტურებს. დამეთანხმებით ყოველივე ეს უდავოდ წაადგება ტურისტულ ბიზნესს მომავალში.

არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო რომ მსოფლიო ბაზარზე კონკურენციას გვიწევენ საკმაოდ მსხვილი მოთამაშეები, ისეთები როგორიცაა: იაპონია, საფრანგეთი, ჩინეთი და ა.შ. ამდენად საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს მათი გამოცდილება, ტაქტიკა და სტრატეგია, რათა შეძლოს კონკურენტულ

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

პირობებში უპირატესობის მოპოვება.

ამდენად, აჭარის და მთლიანად საქართველოს პოტენციალი ექსტრემალური ტურიზმის განვითარების მხრივ ამოუწურავია, მაგრამ მთავარია გავითვალისწინოთ ის მოთხოვნები, რომელიც წარმოდგენილია ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპების სხით:

- მოხდეს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამისა და კონცეფციის შემუშავება;
- ტურისტებისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ქართული ექსტრემალური ტურიზმის მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზება;
- აქტიური სარეკლამო კამპანიის მეშეობით საბაზრო წილის ზრდა;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია;
- მომზადდეს დარგის მასტიმულირებელი საკანონმდებლო ბაზა და ა.შ

THE DEVELOPING HABITS AND PERSPECTIVES OF EXTREME TOURISM

TSIRA TSETSKHLADZE
Shota Rustaveli State University, The faculty of tourism
The Academic – assistant.
MAMUKA GOGELIA
Shota Rustaveli State University, The faculty of tourism.
TAMAR POLADASHVILI
Shota Rustaveli State Universiti.

The biggest attention is looking for to developing tourism, because it is not onlyto get important incomes for the country, it also makes positive results, developing communication, many Kinds of bussinessis and the employment of population, the developing of cultural and historical traditions, the grooving formal and unformal communications, with presentators of other countries, which makes the strings of growing invests and so on.

All this positive follows with developing of tourism, but there is big againsts between tourism in the world, that's whu it is nessesary to have well planned strategies. The important must be long - term and Sort - term puroses, the success of minutes results, which may make negative results instend of dividends.

To develop tourism needs strength,as the state, so to mane strategies of private sectors. There we must make the analuzes and the real conditions and problems also to make good conditions, which will help to improve this.

It is not new fore everybody, that Georgia has tourism potential, it is claved in last years survey, which has published agency of tourism. There were 2 032 586 foreign traveler in Georgia in 2011, which is 30% bigger than 2010. It is very changes in visiting. For relaxing and recreations purposes the number of touist came more 32%.

Tte international arriving records, the 31 of December in 2011 the numbers of tourists visitings on the first plase in Turkey 48,4%, on the second Armenia 21,7%, than Zerbaijan 11,7 %, Iran 5,6% and Ukraine 2,2%.

We should base our competitive advantage to develop extreme tourism in Adjara. Extreme tourism market is growing quickly and demand is increasing every day in the world. However our region has not enough tourists from all over the world.

Tourism sector and concretely Extreme tourism will give us a chance to overcome problems which we have now: unemployment, seasonal misbalance and act.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

СТРАТЕГИЯ И ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ ЭКОТУРИЗМА В АДЖАРИИ

ЦИРА ЦЕЦХЛАДЗЕ
Государственный университет Шота Руставели
Факультет туризма
Академический доктор экономических наук
Ассистент-профессор
МАМУКА ГОГЕЛИЯ
Государственный университет Шота Руставели
Факультет туризма
ТАМАР ПОЛАДАШВИЛИ
Государственный университет Шота Руставели

На сегодняшний день туризм особенно значим во всем мире, так как он дает не только большой доход для страны в прямом смысле, но также формирует множество положительных результатов, в том числе развитие инфраструктуры, развитие разных сфер бизнеса, которые связаны с обеспечением туризма и соответствующий рост занятости населения, сохранение и развитие характерных для страны, полезных для показа местных культурно-исторических традиций и народного промысла, формирование формальных и неформальных связей с представителями других стран, что в свою очередь усиливает приток инвестиций в стране, улучшает имидж на международной арене, прогрессивно прибавляет число дружески, доброжелательно настроенных сторонников и т.д.

Весь этот позитив потенциально сопутствует развитию туризма, хотя на мировом рынке в сфере туризма существует очень большая конкуренция и для занятия своей ниши нужна хорошо продуманная, спланированная и внедренная стратегия. Главное, в этой стратегии краткосрочные и долгосрочные цели должны быть ориентированы на конечный, устойчивый результат, а не на сиюминутный успех, который вместо дивидендов может в конечном счете привести только к отрицательному результату.

Для развития туризма в любой стране нужно общее усилие, эффективное внедрение разработанной на основе государственного, частного и мультисекторного сотрудничества стратегии развития. Естественно для разработки такой стратегии нужны многосторонний анализ и яркое видение существующей ситуации и проблем, а также креативный подход к разработке мер, которые в будущем должны способствовать развитию отрасли.

Ни для кого не секрет, что в Грузи имеется туристический потенциал. Об этом говорят статистические данные на прошлый год, опубликованные национальным агенством по туризму. В 2011 году Грузию посетили 2 032 586 иностранных путешественников, что на 36% больше по сравнению с показателем 2010 года. Заметно изменились цели визита – общее число туристов, путешествующих с целью отдыха и рекреации превысило 32% в числе всех посетителей.

С точки зрения международных визитов на 31 декабря 2011 года по числу иностранных визитерев на первом месте находится турция (48,4%), на втором – Армения (21,7%), следом идут Азербайджан – 11,7%, Иран – 5,6%, Украина – 2,2%.

Исходя из указанных показателей, число визитерев в Аджарском регионе в 2011 году выросло на 76% и составило 1 319 513 человек, в том числе численность внутренних визитов возросло на 69% (838 661чел.), а внешних туристов – на 33% (480 852 чел.).

Конкурентное преимущество нашего региона может быть основано на развитие экстремального туризма. Рынок экстремального туризма является очень быстро растущим и перспективным во всем мире и в том числе в Грузии, А Аджарский регион в этом смысле еще не освоен ни грузинскими, ни иностранными туристами.

Туризм и конкретно экстремальный туризм сделают возможным решение проблем, существующих в регионе, в частности: дефицит доходности, безработица, сезонный дисбаланс и т.д.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com